



**შენიშვნები და კომენტარები
ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე
სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის
ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე**

18 ივნისი, 2026

2026 წლის 20 მაისს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე [გამოქვეყნდა](#) სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების (გზშ) შეფასების ანგარიში.

1. საქმიანობის არსი

გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, „სს „არ ემ ჯი კოპერი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების სამუშაოებს სს „არ ემ ჯი კოპერზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 22 ნოემბრის N665/ს ბრძანებით გაცემული ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მათ შორის მშრალი კუდების სანაყაროს მოწყობა-ექსპლუატაცია) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების და 2026 წლის 28 აპრილის N 272/ს ბრძანებით ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების ფარგლებში.

აღნიშნულ ეტაპზე კომპანიას დაგეგმილი აქვს შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- დაფქვისა და გრავიტაციული გამდიდრების ახალი უბნის მოწყობა;
- კირის რძის მომზადების ახალი უბნის მოწყობა;
- კონცენტრატის დამატებითი ცალკე მდგომი შემსქელებლის მონტაჟი;
- არსებულ ფლოტაციის უბანზე დამატებითი ფლოტომანქანის მონტაჟი;
- არსებულ ფილტრაციის უბანზე დამატებითი პრეს-ფილტრის მონტაჟი“.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, პირდაპირ წარადგინოს განცხადება ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე. თუმცა, წარმოდგენილი ცვლილებები მოიცავს როგორც ახალი ობიექტების (დაფქვის, გრავიტაციული გამდიდრების, კირის რძის მომზადების უბნები) მშენებლობას, ისე არსებულის დემონტაჟს/გადატანას საწარმოო არეალში. კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა დასაბუთდეს, რამდენად არის ეს ცვლილებები ფუნქციურად და ტექნიკურად დაკავშირებული არსებულ ინფრასტრუქტურასთან და ხომ არ იწვევს ისეთი რისკების ზრდას, რაც სცილდება არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ჩარჩოებს.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ახალი ობიექტების მშენებლობა ხდება არსებული საწარმოს ტერიტორიაზე და იგივე კომპანიის მიერ, არ ნიშნავს, რომ მათი მშენებლობა არ უნდა განვიხილოთ დამოუკიდებელ პროცესად. წარმოდგენილი ანგარიში არ იძლევა ამ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. ზოგადად, ანგარიში არ არის გათვლილი დაინტერესებული საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. საწარმოს საქმიანობისათვის საჭირო გადაწყვეტილებების რეკვიზიტებზე მითითება არ არის საკმარისი საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისათვის.

წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს მკაფიო ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის თაობაზე.

2. ხარჯ - სარგებლიანობის შეფასება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში.

პროექტის ხარჯ - სარგებლიანობის შეფასება და ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია გზმ ანგარიშის სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილსა (შეუქცევადი ზემოქმედება, 6.14 ქვეთავი) და სხვადასხვა ქვეთავებში. დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური წმინდა სარგებელი 158.9 მლნ ლარს შეადგენს. ეს გაანგარიშება მეტწილად წარმოადგენს პროექტის ფინანსურ დასაბუთებას და ნაკლებად ასახავს გარემოსდაცვით-ეკონომიკურ ანალიზს. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი მხოლოდ პროექტის განმახორციელების მოგებაზე არ უნდა მიუთითებდეს.

ანგარიშში სათანადოდ არ არის გაკეთებული ეკოსისტემური სერვისების დანაკარგის ფულადი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ობიექტები არსებულ ინდუსტრიულ ზონაში შენდება, სამშენებლო სამუშაოები, დამატებითი ტრანსპორტირება და რესურსების მოხმარება მაინც იწვევს გარკვეულ გარემოსდაცვით ხარჯს. შესაბამისად, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ რა დაუჯდება ქვეყანას (და საზოგადოებას) ემისიების პირობითი მატება ან ნარჩენების მართვის ახალი რისკები და როგორ დააბალანსებს ამას მიღებული 158.9 მლნ ლარი.

ერთ-ერთ სარგებლად აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე მოხდება დამატებითი მუშახელის (მშენებლობის ეტაპზე 2 წლის განმავლობაში 50 ადამიანის) დასაქმება. ვინაიდან ექსპლუატაციის ეტაპზე დამატებითი მუდმივი მუშახელის აყვანა არ იგეგმება, სოციალური სარგებლის ნაწილში უნდა დაკონკრეტდეს, რეალურად რა გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებელი ექნება ადგილობრივ მოსახლეობას (დაბა კაზრეთის მაცხოვრებლებს) ამ პროექტის ფარგლებში, გარდა ზოგადი საბიუჯეტო შენატანებისა.

ამასთან, საერთოდ არ არის განხილული, პროექტზე უარის თქმის შემთხვევაში, რა თანხას „დაზოგავს“ სახელმწიფო (მაგალითად, შემცირებული სამრეწველო დატვირთვა, ნულოვანი დამატებითი ხმაური და ვიბრაცია, დამატებით ნარჩენების თავიდან აცილება და ა.შ.). ხარჯ-სარგებლიანობა უნდა აღარებდეს ორივე სცენარის სრულ ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ფასს.

3. ალტერნატივების განხილვა

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გზმ ანგარი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში

გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

ალტერნატივების ანალიზი (ნულოვანი და ტექნოლოგიური ალტერნატივები) განხილულია ანგარიშის მე-3 თავში. სადაც აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის უმეტესი ნაწილი არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას/დამატებას/გაფართოებას წარმოადგენს და შესაბამისად განთავსების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ წარმოადგენდა საჭიროებას. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა;
- ტექნოლოგიური ალტერნატივა“.

შესაბამისად, განთავსების ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა არ არის შესრულებული. ასევე უმოქმედობის ალტერნატივა იმთავითვე არასწორი მიდგომით არის განხილული, რაზეც მხოლოდ ქვეთავის სათაურიც მეტყველებს: „უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა/პროექტის საჭიროების დასაბუთება“.

ნულოვანი ალტერნატივა განხილულია ძირითადად ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც სტანდარტული მიდგომაა, თუმცა გარემოსდაცვითი კუთხით ნაკლებადაა დასაბუთებული, თუ რა „სარგებელს“ (მაგ. დამატებითი ემისიების არარსებობა) დაკარგავდა გარემო პროექტის განხორციელებით. უარყოფით გარემოსდაცვით საკითხს მხოლოდ ერთი აბზაცი ეთმობა და ვკითხულობთ, რომ იმ უარყოფით „გარემოსდაცვით ასპექტებს, რასაც პროექტის განხორციელება გამოიწვევს: გაიზრდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებით, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსახლეობაზე და ცხოველთა სამყაროზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები. ყველა ჩამოთვლილ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება ნულოვანი ალტერნატივის შემთხვევაში“. ამასთან, ანგარიშში რიც შემთხვევებში უარყოფითი ზემოქმედებების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებული გარემოს მდგომარეობა უკვე მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. აღნიშნული მიდგომა არასწორია და არ გამორიცხავს დამატებითი ზემოქმედებების წარმოშობის შესაძლებლობას.

ქვეთავში სადაც ტექნოლოგიურ ალტერნატივები უნდა იყოს განხილული, სინამდვილეში აღწერილია ახალი დაფქვის უბნის მშენებლობის საჭიროება და გრავიტაციული მეთოდის დანერგვა საჭიროება. არანაირი სხვა ალტერნატივები არ არის განხილული.

აგრეთვე, არ არის განხილული კირის რძის მომზადებისა და ქიმიური რეაგენტების გამოყენების ნაწილში სხვა ალტერნატიული, უფრო ეკომეგობრული ნივთიერებების ან მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა.

4. გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა

საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების აღწერისას, ანგარიშში ხშირად მითითებულია „წარსულ წლებში ჩატარებულ კვლევებზე“. კოდექსის მიხედვით, ფონური მდგომარეობა უნდა ასახავდეს უახლეს მონაცემებს. შესაბამისად, აუცილებელია დაზუსტდეს, განხორციელდა თუ არა მიმდინარე საველე კვლევები უშუალოდ ახალი ობიექტების საძირკვლების არეალში.

5. კუმულაციური ზემოქმედება

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მიმდინარეობს მშრალი კუდების სანაყაროს გაფართოება და დამხმარე გზების მოწყობა, მაგრამ ნათქვამია, რომ ეს ორი პროექტი დროში ერთმანეთს არ დაემთხვევა. ჯერ ერთი, ამის უზრუნველსაყოფად, საჭიროა წარმოდგენილი იყოს

ზუსტად გაწერილი, სავალდებულო გეგმა-გრაფიკი, რომელიც ამ სამუშაოებს ერთმანეთისგან გამიჯნავს. მეორეს მხრივ, კუმულაციური ეფექტი არ არის განპირობებული მხოლოდ სამუშაოების ერთდროულად წარმოებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ობიექტების მშენებლობა განხორციელდება 2 წლის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჟამად მიმდინარე დაბინძურებას (და რა თქმა უნდა ეს არ არის მხოლოდ სანაყაროს გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოები) დაემატება მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება; ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე სიტუაცია კვლავ შეიცვლება და ისიც უნდა გახდეს პროექციის საგანი. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბაზისური სიტუაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის ფლობა და ასევე, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სწორი პროგნოზირება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შესახებ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით სავალდებულო ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

6. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება

ქვეთავი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ (ქვეთავი 6.12) სრულყოფილად არ მოიცავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკებისა და შესაძლო შემარბილებელი მექანიზმების შესახებ. არაა წარმოდგენილი მძიმე მეტალების შესაძლო ზემოქმედების ანალიზი; რეგიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული სტატისტიკა, რაც მნიშვნელოვანია საწყისი მდგომარეობის განსასაზღვრად.

7. სოციალური გარემოს შეფასება

საქმიანობის განხორციელების არეალში არსებული სოციალური გარემოსა და მასზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. 1,5 გვერდიანი ქვეთავი სათაურით “6.11 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე” ეთმობა კომპანიის შეფასებით „მაღალი სოციალური და კორპორაციული პასუხისმგებლობის“ ფარგლებში სხვადასხვა პროექტების დაფინანსების შესახებ ინფორმაციას და საბოლოო დასკვნას, რომ „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება იქონიებს დადებით გავლენას ადგილობრივ და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.“

8. სადემონტაჟო სამუშაოების აღწერა და ნარჩენების მართვა

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, განთავსებულია 4 კაპიტალური შენობა-ნაგებობა და ბეტონის ფილა. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე განხორციელდება აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ობიექტები გადატანილი იქნება საწარმოო ტერიტორიის ფარგლებში. თუმცა, არ არის კონკრეტულად მითითებული თუ სად მოხდება მათი დასაწყობება. ასევე, სათანადოდ არ არის აღწერილი დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების მართვისა და ტერიტორიის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის (რეკულტივაციის) საკითხები.

საქმიანობა ითვალისწინებს ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნის მოწყობას და გადატანას. გზის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ამ ახალი მოედნის მოწყობის ტექნიკური მახასიათებლები (მაგ. ჰიდროიზოლაცია, სანიაღვრე სისტემა მჟავე ან დაბინძურებული წყლების შესაკავებლად, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განცალკევების საკითხი), რათა სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსს“ და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

9. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

ანგარიშის მე-7 თავში ვკითხულობთ, რომ “სს „არ ემ ჯი კოპერს“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 28 აპრილის N272/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით შეთანხმებული აქვს კომპანიის გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა.

ექსპლუატაციის ცვლილების შემდგომ, კომპანია გარემოსდაცვით მონიტორინგს განახორციელებს 2026 წლის 28 აპრილის N272/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმის შესაბამისად.“ ზემოთ აღნიშნული თვითმონიტორინგის გეგმა, საერთოდ არ არის წარმოდგენილი გზშ ანგარიშში და არც თანდართული არ აქვს დოკუმენტს.

გარდა ამისა, ვინაიდან საქმიანობაში იგეგმება რიგი ცვლილებები, კერძოდ იცვლება/ემატება კირის რძის მომზადებისა და ფილტრაციის კვანძები, მონიტორინგის გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილებები. კერძოდ, თავიდან უნდა განისაზღვროს: კონკრეტული საზომი წერტილები (GPS კოორდინატებით) ჰაერის, ხმაურისა და წყლის ხარისხის კონტროლისთვის; დადგინდეს მონიტორინგის პერიოდულობა და გაზომვების პარამეტრები (განსაკუთრებით სამუშაო ზონაში და უახლოეს დასახლებულ უბნებთან).

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი გზშ ანგარიში არსებული სახით არ იძლევა პროექტის გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილი და ობიექტური შეფასების შესაძლებლობას, რის გამოც საჭიროა მისი დამატებითი დამუშავება და დაზუსტება.